



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აკოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

დიზაინის ფაკულტეტი

სამრეწველო დიზაინი

Industrial Design

პროგრამის ხელმძღვანელი :

ჯუმბერ ბეჭვია, ასოცირებული პროფესორი,
სვეტლანა მხჩიანი, ასოცირებული პროფესორი

დამტკიცებულია თსსა ფაკულტეტის საბჭოს მიერ
2023 წლის 5 აპრილის სხდომის ოქმი № 5
თსსა აკადემიური საბჭოს
2023 წლის 24 აპრილის სხდომის ოქმი № 23

პროგრამის სახელწოდება : 0212.1.2 სამრეწველო დიზაინი Industrial Design

ფართო სფერო (მიმართულება) : 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები Arts and Humanities

ვიწრო სფერო (დარგი/სპეციალობა) : 021 ხელოვნება Arts

დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია) : 0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი Fashion, Interior and Industrial Design

განათლების საფეხური : უმაღლესი განათლების პირველი საფეხური/ბაკალავრიატი (6)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია : ხელოვნების ბაკალავრი სამრეწველო დიზაინში Bachelor of Fine Arts in Industrial Design

ეძლევა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი.

ბაკალავრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნა : ბაკალავრიატის სრული კურსის წარმატებით გავლისა და საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომის მისაღებად ბაკალავრმა უნდა დააკმაყოფილოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები. მან უნდა მოიპოვოს ECTS-ის შესაბამისი მინიმუმ - 240 კრედიტი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა :

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში და უცხო ენაში (გრანტის მოსაპოვებლად, ჩასაბარებელი საგნები პრიორიტეტის მიხედვით : 1. ქართული ენა და ლიტერატურა ; 2. უცხოური ენა ; 3. ხელოვნება/მათემატიკა/ისტორია.) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ის პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს თსსა შემოქმედებითი ტური. ინფორმაცია შემოქმედებითი ტურის შესახებ ხელმისაწვდომია აბიტურიენტისათვის ტურის ჩატარებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე. შემოქმედებითი ტურის დებულება იხ. თსსა ვებგვერდზე https://drive.google.com/file/d/14s8V8Pe_kHNyr9r7JjhgApk6i0kfybwy/view

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. კერძოდ, I. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; II. საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; III. პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/ სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ

დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე. იხ. თსსა ვებგვერდზე <https://drive.google.com/file/d/1oHolwwz6ZS2QpNDPetCuWV-9IuQVZnAg/view>

სწავლების ენა : ქართული

სწავლის ხანგრძლივობა : 4 წელი (8 სემესტრი)

პროგრამის მოცულობა : პროგრამა „სამრეწველო დიზაინი“ მოიცავს - 240 კრედიტს (ECTS), მათ შორის:

- სპეციალობის დისციპლინები - 140 კრედიტი
- საბაზისო დისციპლინები - 18 კრედიტი
- საუნივერსიტეტო დისციპლინები - 36 კრედიტი
- არჩევითი დისციპლინები - 46 კრედიტი

1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75 კრედიტისა

1 სემესტრი მოიცავს - სასწავლო კვირათა ერთობლიობას და სასესიო პერიოდს, მათ შორის, 20 კვირას, აქედან: სააუდიტორიო მეცადინეობები - 15 სასწავლო კვირა

სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულების შემდეგ - დასკვნითი გამოცდა.

დასკვნითი გამოცდებისთვის განკუთვნილია - 2 კვირა, დამატებით გამოცდისათვის 1 კვირა.

საწარმოო პრაქტიკა - 2 კვირა.

სასწავლო კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური ოდენობა - არაუმეტეს 45 სთ.

სემესტრის ხანგრძლივობა დგინდება რექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით „სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ“.

პროგრამის ანოტაცია:

სამრეწველო დიზაინის მიმართულება მოიცავს სამრეწველო – ტექნიკური და ექსკლუზიურ – ტექნიკური პროფილის დიზაინის სრულ სპექტრს. მასში შედის: ყველა სახის საყოფაცხოვრებო, სამრეწველო, სატრანსპორტო, დასვენების, გართობის, გარემოს კეთილმოწყობის, სპორტის და სხვადასხვა ტიპის სპეციალური ტექნიკის დიზაინი. სამრეწველო დიზაინის სპეციალობა თემატურად ასევე ნაწილობრივად „ფარავს“ ერთისმხრივარქიტექტურას (მაგ. გარემოს კეთილმოწყობის ობიექტები, საპარკე მოწყობილობები და სხვა) და გრაფიკულ დიზაინს (მაგ. შეფუთვა, ვიზუალური კომუნიკაციის ობიექტები და სხვა).

პროგრამა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად მოიცავს სამრეწველო დიზაინის სპეციალობის ბაკალავრების მომზადებისთვის ყველა აუცილებელ კომპონენტს. მასში სპეციალობაში მოსამზადებელი დისციპლინების ძირითადი ხაზი (კომპოზიციის საფუძვლები, სკეტჩინგი, ხაზვა, კომპოზიცია, პროექტირება, მაკეტირება, ციფრული მოდელირება, ერგონომიკა, ინჟინერია, ტექნოლოგიები და სხვა)

გამდიდრებულია პროფესიული კომპეტენციების გამამდიერებელი მონათესავე დისციპლინებით (სამრეწველო და მომსახურების ობიექტების ინტერიერი და ექსტერიერი, სარეკლამო დიზაინი, შეფუთვა და შრიფტი, ბიზნესტექნოლოგიები დიზაინში და სხვა).

სამრეწველო დიზაინის საბაკალავრო პროგრამა, ხელოვნების ბაკალავრის კვალიფიკაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე მოიცავს

ასევე საბაზისო (ხატვა, ფერწერა, ქანდაკება, პლასტიკური ანატომია, IT ტექნოლოგია, გეომეტრიული მოდელირება) და

საუნივერსიტეტო დისციპლინებს. გათვალისწინებულია არჩევითი საგნების კომპონენტი.

სასწავლო დისციპლინების ასეთი მრავალფეროვნება განპირობებულია მიღებული გამოცდილებით და გამიზნულია შრომის ბაზარზე ადაპტირების გასაადვილებლად. ამასთან, აღნიშნული დისციპლინების ერთობლიობა არის არა მათი მექანიკური ჯამი, არამედ სინერგიული სინთეზი, ერთიანი კომპლექსური ცოდნის მისაღებად. წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა არის წინა საბაკალავრო პროგრამის განვითარება და გამრავალფეროვნება ახალი მოთხოვნების შესაბამისად. ის წარმოადგენს ამ ეტაპზე პროგრამული განვითარების ჯაჭვის ბოლო რგოლს 1961 წლიდან.

პროგრამის მიზანი :

სამრეწველო დიზაინის საბაკალავრო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ისეთი კომპლექსური თეორიული ცოდნის გადაცემა და მათ მიერ პრაქტიკული უნარების გამომუშავება, რომლის საფუძველზე ისინი შეძლებენ წარმატებულ შემოქმედებით – პრაქტიკულ საქმიანობას სამრეწველო – ტექნიკური და ექსკლუზიურ – ტექნიკური დიზაინის პროფილის ნებისმიერი მიმართულებით. სწავლების ამოცანაა ერთისმხრივ, საქართველოს სამრეწველო – სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირება და მასში წარმატებული ადაპტირება, ხოლო მეორესმხრივ, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება.

სწავლება/სწავლის მეთოდები :

სწავლება/სწავლის მეთოდები ეფუძნებიან სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და განაპირობებენ სათანადო მიზნების დასწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე სწავლება-სწავლების მეთოდები მიმდინარეობს შემდეგი ფორმატით : ლექცია, ლექცია-პრაქტიკუმი, ინტერაქტიულ სწავლება, ლაბორატორიული, სემინარი, ვორქშოპი, ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობა, დამოუკიდებელი მუშაობა, შემოქმედებითი პროექტი. საჭიროების შემთხვევაში ონლაინ და/ან ჰიბრიდული ფორმით.

დასაქმების სფეროები :

გასული საუკუნის ბოლოს საქართველოში მომხდარმა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივ – ეკონომიკურმა ცვლილებებმა ბუნებრივი ასახვაპოვა ქვეყნის სამრეწველო-ტექნიკურ პოტენციალზე და გამოიწვია მისი სტრატეგიის ტრანსფორმაცია-ადაპტაციის აუცილებლობა, რაც თავისთავად გულისხმობს სამრეწველო კრიზისს, რომელმაც თავისმხრივ გამოიწვია სერიოზული პრობლემები სამრეწველო დიზაინერების დასაქმების თვალსაზრისით. სამხატვრო აკადემიის სამრეწველო დიზაინის მიმართულებამ იმთავითვე სტრატეგიული კურსი აიღო ერთდროულად ორი მიმართულებით, - ერთისმხრივ საქართველოში არსებულ საბაზრო რეალიებთან ადაპტაციისკენ და მეორესმხრივ,

საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი სამრეწველო დიზაინერების მომზადების უნარის შენარჩუნებისკენ, რა სტრატეგიაც დღესაც ხორციელდება. ამდენად, სამრეწველო დიზაინის საბაკალავრო პროგრამა გათვლილია ერთისმხრივ ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებზე, ხოლო მეორესმხრივ, საერთაშორისო სტანდარტების შენარჩუნებაზე.

საქართველოში სამრეწველო დიზაინის ბაკალავრების – როგორც მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების დასაქმება შეიძლება მოხდეს საშუალო და მცირე საწარმოებში, ან ინდივიდუალურად (ინდემწარმედ), მათ შორის ექსკლუზიური დიზაინმოდერნიზაციის (TUNING) მიმართულებით. დასაქმების თვალსაზრისით აქტიური თანამშრომლობაა საქართველოს სამრეწველო დიზაინერთა ასოციაციასთან, „ტექნოპარკთან“ და სსსტც „დელტა“-სთან.

დასაქმება შეიძლება იყოს ასევე პრაქტიკულ – შემოქმედებითი მუშაობა ბიუროს (ფირმის) შემადგენლობაში ან პედაგოგიური მუშაობაზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კანონით დადგენილ ფარგლებში. ასევე თანამშრომლობა სარეკლამო, გარემოს კეთილმოწყობის, არქიტექტურულ და სხვა ორგანიზაციებთან.

საქართველოს სამრეწველო დიზაინერებისთვის საერთაშორისო მასშტაბით დასაქმების ყველაზე გავრცელებული ფორმატია ფრილანსერობა. ასევე აქტუალურია სხვადასხვა კონკურსებში და პროექტებში მონაწილეობა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა :

სასწავლო კომპონენტის შეფასება ასქულიანია, მრავალკომპონენტიანი. შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი კონკრეტული საგნის სილაბუსში.

თსსა-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, სტუდენტი არ დაიშვება დასკვნით გამოცდაზე, თუ მის მიერ გაცდენილი საკონტაქტო საათების რაოდენობა კონკრეტულ სასწავლო საგანში 50% ან მეტია.

სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება, სემესტრის განმავლობაში ითვალისწინებს 2 გამოცდას :

- შუალედური შეფასება - 40 ქულა (მაქსიმალური)
- დასკვნითი გამოცდა - 60 ქულა (მაქსიმალური)
- სასწავლო კომპონენტის შეფასების საერთო ქულა - 100 ქულა (მაქსიმალური).

ქულები	შეფასება		შეფასების კვალიფიკაცია
91% - 100%	A	ფრიადი	დადებითი
81% - 90%	B	ძალიან კარგი	დადებითი
71% - 80%	C	კარგი	დადებითი
61% - 70%	D	დამკმაყოფილებელი	დადებითი
51% - 60%	E	საკმარისი	დადებითი
41% - 50%	FX	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობითდამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება	უარყოფითი
0% - 40%	F	ჩაიჭრა (კურსი თავიდან უნდა გაიროს (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი დამას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)	უარყოფითი

• **საბაკალავრო ნაშრომის შეფასება :**

საბაკალავრო ნაშრომი სრულდება მე-8 სემესტრში და მისი მოცულობა შეადგენს 15 კრედიტს. თვისობრივად ის წარმოადგენს სასწავლო პროცესის გაგრძელებას, თუმცა აქვს დასკვნითი ნამუშევრის ფუნქცია და საკურსო ნაშრომისგან განსხვავდება როგორც მოცულობით, ისე შეფასების პრინციპით, რაც გულისხმობს 100 ქულიან შეფასებას სპეციალური საფაკულტეტო კომისიის მიერ.

საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის დაწყების წინაპირობაა მე-7 სემესტრის დისციპლინა „დიზაინპროექტირების“ კრედიტების ფლობა. საბაკალავრო ნაშრომი უნდა მოიცავდეს სათანადო სტანდარტებით შექმნილ პროექტს ან მოქმედ მოდელს. პროექტი მოიცავს ნაკეთობის ან ობიექტის დიზაინერული გადაწყვეტის ორთოგონალურ პროექციებს, იზომეტრიულ გამოსახულებას, ერგონომიკულ სქემას, კონსტრუქციულ ჭრილს, ფერით-გრაფიკულ ვერსიებს, მაკეტს ან მოდელს და სხვა კომპონენტებს (ანიმაცია, ვირტუალური მოდელი, პერფორმანსი და სხვა). მოქმედ მოდელში იგულისხმება ექსკლუზიური დიზაინმოდერნიზაცია (TUNING). ამ ფორმატში სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომს წარმოადგენს დიზაინშეცვლილი რეალური ნაკეთობა ან ობიექტი (მათშორის სატრანსპორტო საშუალება).

თემის მოცულობიდან გამომდინარე დასაშვებია საბაკალავრო ნაშრომის შესრულება ორი ან მეტი სტუდენტის მიერ ერთობლივად.

სტუდენტმა უნდა შეძლოს ნაშრომის-პროექტის საჯარო წარდგინება, იდეის და მისი განხორციელების მკაფიო დასაბუთება-დაცვა. მოკლე წარდგინების ფორმით მოხსენებით გამოდის ასევე ნაშრომის ხელმძღვანელი.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

- დიზაინის შესაბამისობა ფუნქციასთან - 10 ქულა
- დიზაინის ერგონომიულობა და უსაფრთხოება - 10 ქულა
- დიზაინის კონსტრუქციული ხასიათი - 10 ქულა
- დიზაინის ტექნოლოგიური სპეციფიკა - 10 ქულა
- დიზაინის კომპოზიციური ორიგინალურობა - 10 ქულა
- დიზაინის სტილის შესაბამისობა თანამედროვე ტენდენციებთან - 10 ქულა
- დიზაინის ფერითი-გრაფიკული გადაწყვეტის ჰარმონიულობა - 10 ქულა
- პროექტის გრაფიკული ვიზუალიზაციის ხარისხი - 10 ქულა
- პროექტის მაკეტის ხარისხი - 10 ქულა
- პრეზენტაციის ხარისხი - 10 ქულა

მოქმედი მოდელის წარდგენის შემთხვევაში გრაფიკული ვიზუალიზაციის გარეშე, კომპონენტები „პროექტის გრაფიკული ვიზუალიზაციის ხარისხი“ და „პროექტის მაკეტის ხარისხი“ ერთიანდებიან ერთ 20 ქულიან კრიტერიუმად „მოდელის შესრულების ხარისხი“.

სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია გამოყენებითი ხელოვნების / (ხელნაკეთობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელთან. უმაღლესი განათლების I და II საფეხურები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები ბრძანება MES 5 22 0000897354 12.08.2022) ოქმი გამოყენებითი ხელოვნების/ (ხელნაკეთობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ).

• **ცოდნა / გაცნობიერება**

სამრეწველო დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული :

1. ახდენს ფართო ზოგადი ცოდნის დემონსტრირებას სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების, მათშორის ბიზნეს ურთიერთობების სფეროების შესახებ;
2. ახდენს ფართო ზოგადი ცოდნის დემონსტრირებას ვიზუალური ხელოვნების და დიზაინთან დაკავშირებული სფეროების შესახებ;
3. ახდენს სამრეწველო დიზაინთან დაკავშირებული თანამედროვე პრაქტიკული და თეორიული ცოდნის დემონსტრირებას;
4. ავლენს თანამედროვე მხატვრულ-სტილისტური ტენდენციების ცოდნას.
5. განსაზღვრავს საპროექტო ამოცანის შესაბამისად დიზაინის კონკრეტულ გადაწყვეტებს, ფუნქციურ და კონსტრუქციულ ასპექტებს, მასალებს, ტექნოლოგიებს და სხვა აუცილებელ კომპონენტებს, მათშორის ციფრული ტექნოლოგიების ფართო გამოყენებით;

• **უნარი**

სამრეწველო დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს :

6. აქვს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის მუდმივი განახლების და პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
7. აქვს საპროექტო ამოცანის კომპლექსური გააზრების და მუშაობის ოპტიმალური წარმართვის უნარი;
8. მიღებული ცოდნის და შემოქმედებითი უნარების გაერთიანებით აქვს შემოქმედებითად ორიგინალური დიზაინის შექმნის უნარი;
9. აქვს დიზაინპროექტირების და მაკეტირების ყველა ეტაპის შესრულების უნარი, მათშორის ციფრული ტექნოლოგიების ფართო გამოყენებით;
10. აქვს კომუნიკაციის და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი, ინდივიდუალური და კოლექტიური მუშაობის ჩვევები, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, მათშორის უცხო ენაზე;

• **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

სამრეწველო დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული :

11. იცავს პროფესიულ ეთიკას და მუშაობს როგორც ინდივიდუალურად , ისე გუნდურობის პრინციპების დაცვით;
12. განსაზღვრავს საკუთარი სწავლის საჭიროებებს და გეგმავს კარიერულ განვითარებას.

• **პროგრამის სტრუქტურა** (სემეტრების მიხედვით გათვალისწინებული კრედიტების ოდენობა)

საგნების დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	EGTS
საბაზისო დისციპლინები	9	9							18
საუნივერსიტეტო დისციპლინები	12	12	6	6					36
არჩევითი დისციპლინები			9	9	12	10	3	3	46
სპეციალობის დისციპლინები	10	10	15	15	20	20	25	25	140
სულ	31	31	30	30	32	30	28	28	240

• პროგრამის სასწავლო გეგმა

საგნების დასახელება	ECTS / სთ	ლექცია (კვირა)	სთ/ლექცია	საკონტაქტო/სთ	არასაკონტაქტო/სთ	ლექცია-პრაქტიკუმი/სთ	შუალედური შეფასება (ეზი)/სთ	დასკვნითი გამოცდა/სთ
საბაზისო დისციპლინები								
ხატვა	3/75							
ხატვა	3/75							
ფერწერა	3/75							
ფერწერა	3/75							
გეომეტრიული მოდელირება /ზოგადი კურსი (ორთოგონალური გეგმილები, აქსონომეტრია, პერსპექტივი)	3/75	15	2	32	43		4	2
ინფორმაციული ტექნოლოგიები და საოფისეუნარები	3/75	15	2	33	42		4	3
სულ:	18							
საუნივერსიტეტო დისციპლინები								
ძველი სამყაროს ხელოვნება	3/75	15	2	33	42		4	3
შუა საუკუნეებისა და რენესანსის ხელოვნება	3/75	15	2	33	42		4	3
XVII-XIX სს-ის ევროპის ხელოვნება	3/75	15	2	33	42		4	3
ახალი და უახლესი დროის ხელოვნება (XX-XXI სს)	3/75	15	2	33	42		4	3
წინაქრისტიანული და შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება	3/75	15	2	33	42		4	3
უცხო ენა	3/75	15	2	33	42		4	3
უცხო ენა I	3/75	15	2	33	42		4	3
უცხო ენა II	3/75	15	2	33	42		4	3
უცხო ენა III	3/75	15	2	33	42		4	3
უცხო ენა IV	3/75	15	2	33	42		4	3
ფილოსოფია	3/75	15	2	33	42		4	3
აკადემიური წერა	3/75	15	2	33	42		4	3
სულ:	36							
არჩევითი დისციპლინები	46							
სპეციალობის დისციპლინები	120							

კომპოზიციის საფუძვლები I	5/125	15	6	94	31	90	2	2
კომპოზიციის საფუძვლები II	5/125	15	6	94	31	90	2	2
სპეცგრაფიკა (სკეტიჩინგი) I	2/50	15	3	49	1	45	2	2
სპეცგრაფიკა (სკეტიჩინგი) II	2/50	15	3	49	1	45	2	2
ციფრული მოდელირება I	2/50	15	3	49	1	45	2	2
ციფრული მოდელირება II	2/50	15	3	49	1	45	2	2
ციფრული მოდელირება III	2/50	15	3	49	1	45	2	2
ციფრული მოდელირება IV	2/50	15	3	49	1	45	2	2
ციფრული მოდელირება V	2/50	15	3	49	1	45	2	2
ციფრული მოდელირება VI	2/50	15	3	49	1	45	2	2
სამრეწველო ნაკეთობათა კომპოზიცია I	5/125	15	6	94	31	90	2	2
სამრეწველო ნაკეთობათა კომპოზიცია II	5/125	15	6	94	31	90	2	2
სამრეწველო ნაკეთობათა პროექტირება I	5/125	15	6	94	31	90	2	2
სამრეწველო ნაკეთობათა პროექტირება II	5/125	15	6	94	31	90	2	2
სამრეწველო ნაკეთობათა პროექტირება III	10/250	15	12	120	126		2	2
მაკეტირება-მოდელირება I	3/75	15	4	64	11	60	2	2
მაკეტირება-მოდელირება II	3/75	15	4	64	11	60	2	2
მაკეტირება-მოდელირება III	3/75	15	4	64	11	60	2	2
მაკეტირება-მოდელირება IV	3/75	15	4	64	11	60	2	2
მაკეტირება-მოდელირება V	5/125	15	6	94	31	90	2	2
სამრეწველო დიზაინის ისტორია და ბრენდები	2/50	15	3	49	1	45	2	2
ხაზვა	2/50	15	3	49	1	45	2	2
ერგონომიკა	4/100	15		75	21		2	2
სამრეწველო პროდუქციის ინჟინერია I	3/75	15	4	64	11	60	2	2
სამრეწველო პროდუქციის ინჟინერია II	3/75	15	4	64	11	60	2	2
სამრეწველო მასალები და ტექნოლოგიები I	3/75	15	4	64	11	60	2	2
სამრეწველო მასალები და ტექნოლოგიები II	3/75	15	4	64	11	60	2	2
სამრეწველო და მომსახურების ობიექტების ინტერიერი	3/75	15	4	64	11	60	2	2
სამრეწველო და მომსახურების ობიექტების ექსტერიერი	3/75	15	4	64	11	60	2	2
ბიომორფოლოგია	5/125	15	6	94	31	90	2	2
სარეკლამო დიზაინი	5/125	15	6	94	31	90	2	2
სტარტაპ ტექნოლოგიები	5/125	15	6	94	31	90	2	2
შეფუთვა და შრიფტი	5/125	15	6	94	31	90	2	2
საბაკალავრო ნაშრომი	15/375							
საწარმოო პრაქტიკა I	1/25							

საწარმოო პრაქტიკა II	1/25								
საწარმოო პრაქტიკა III	1/25								
საწარმოო პრაქტიკა IV	1/25								
საწარმოო პრაქტიკა V	1/25								
საწარმოო პრაქტიკა VI	1/25								
საწარმოო პრაქტიკა IV	1/25								
სულ	240								

• სასწავლო რუკა

საგნების დასახელება	კურსზე დაშვების წინაპირობა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	EGTS
საბაზისო დისციპლინები		9	9							18
ხატვა	წინაპირობის გარეშე	3								
ხატვა	წინაპირობის გარეშე		3							
ფერწერა	წინაპირობის გარეშე	3								
ფერწერა II	წინაპირობის გარეშე		3							
ინფორმაციული ტექნოლოგიები და საოფისე უნარები	წინაპირობის გარეშე	3								
გეომეტრიული მოდელირება (ორთოგონალური გეგმილები, აქსონომეტრია, პერსპექტივი)	წინაპირობის გარეშე		3							
საუნივერსიტეტო დისციპლინები		12	12	6	6					36
ძველი სამყაროს ხელოვნება	წინაპირობის გარეშე	3								
შუა საუკუნეებისა და რენესანსის ხელოვნება	წინაპირობის გარეშე		3							
XVII-XIX სს-ის ევროპის ხელოვნება	წინაპირობის გარეშე			3						
ახალი და უახლესი დროის ხელოვნება (XX-XXI)	წინაპირობის გარეშე				3					
წინაქრისტიანული და შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება	წინაპირობის გარეშე	3								
ახალი და უახლესი ქართული ხელოვნება (XIX)	წინაპირობის გარეშე		3							
უცხო ენა I	წინაპირობის გარეშე	3								
უცხო ენა II	უცხო ენა I		3							
უცხო ენა III	უცხო ენა II			3						
უცხო ენა IV	უცხო ენა III				3					
ფილოსოფია	წინაპირობის გარეშე		3							
აკადემიური წერა	წინაპირობის გარეშე	3								
სპეც. არჩევითი დისციპლინები				9	9	12	10	3	3	46
სპეციალობის დისციპლინები		10	10	15	15	20	20	25	25	140

კომპოზიციის საფუძვლები	წინაპირობა არ აქვს	5								
სპეც. კომპოზიციის საფუძვლები	კომპოზიციის საფუძვლები I		5							
სპეცგრაფიკა (სკეტჩინგი) I	წინაპირობა არ აქვს	2								
სპეცგრაფიკა (სკეტჩინგი) II	სპეცგრაფიკა (სკეტჩინგი) I		2							
ციფრული მოდელირება I	წინაპირობა არ აქვს	2								
ციფრული მოდელირება II	წინაპირობა არ აქვს		2							
ციფრული მოდელირება III	წინაპირობა არ აქვს			2						
ციფრული მოდელირება IV	ციფრული მოდელირება III				2					
ციფრული მოდელირება V	ციფრული მოდელირება IV					2				
ციფრული მოდელირება VI	ციფრული მოდელირება I,II,V						2			
სამრეწველო ნაკეთობათა კომპოზიცია I	წინაპირობა არ აქვს			5						
სამრეწველო ნაკეთობათა კომპოზიცია II	სამრეწველო ნაკეთობათაკომპოზიცია I				5					
სამრეწველო ნაკეთობათა პროექტირება I	სამრეწველო ნაკეთობათაკომპოზიცია II					5				
სამრეწველო ნაკეთობათა პროექტირება II	სამრეწველო ნაკეთობათა პროექტირება I						5			
სამრეწველო ნაკეთობათა პროექტირება III	სამრეწველო ნაკეთობათაპროექტირება II							10		
მაკეტირება-მოდელირება I	წინაპირობა არ აქვს			3						
მაკეტირება-მოდელირება II	წინაპირობა არ აქვს				3					
მაკეტირება-მოდელირება III	წინაპირობა არ აქვს					3				
მაკეტირება-მოდელირება IV	წინაპირობა არ აქვს						3			
მაკეტირება-მოდელირება V	წინაპირობა არ აქვს							5		
სამრეწველო დიზაინის ისტორია და ბრენდები	წინაპირობა არ აქვს			2						
ხაზვა	წინაპირობა არ აქვს			2						
ერგონომიკა	წინაპირობა არ აქვს				4					
სამრეწველო პროდუქციის ინჟინერია I	წინაპირობა არ აქვს					3				
სამრეწველო პროდუქციის ინჟინერია II	წინაპირობა არ აქვს						3			
სამრეწველო მასალები და ტექნოლოგიები I	წინაპირობა არ აქვს					3				
სამრეწველო მასალები და ტექნოლოგიები II	წინაპირობა არ აქვს						3			
სამრეწველო და მომსახურების ობიექტებისინტერიერი	წინაპირობა არ აქვს					3				
სამრეწველო და მომსახურების ობიექტებისექსტერიერი	წინაპირობა არ აქვს						3			
ბიომორფოლოგია	წინაპირობა არ აქვს							5		
სარეკლამო დიზაინი	წინაპირობა არ აქვს							5		
სტარტაპ ტექნოლოგიები	წინაპირობა არ აქვს								5	
შეფუთვა და შრიფტი	წინაპირობა არ აქვს								5	
საბაკალავრო ნაშრომი	სამრეწველო ნაკეთობათა პროექტირება III								15	
საწარმოო პრაქტიკა I	წინაპირობა არ აქვს	1								
საწარმოო პრაქტიკა II	წინაპირობა არ აქვს		1							

საწარმოო პრაქტიკა III	წინაპირობა არ აქვს			1						
საწარმოო პრაქტიკა IV	წინაპირობა არ აქვს				1					
საწარმოო პრაქტიკა V	წინაპირობა არ აქვს					1				
საწარმოო პრაქტიკა VI	წინაპირობა არ აქვს						1			
სულ		31	31	30	30	32	30	28	28	240

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი (სპეციალობის დისციპლინებში) :

პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს ახორციელებენ - თსსა აკადემიური პერსონალი და სპეციალურად მოწვეული პედაგოგები

№	პედაგოგი (სახელი/გვარი)	სტატუსი	დისციპლინა
1.	ჯუმბერ ბეჭვაია	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • კომპოზიციის საფუძვლები I • კომპოზიციის საფუძვლები II • სამრეწველო ნაკეთობათა პროექტირება I • სამრეწველო ნაკეთობათა პროექტირება II • სამრეწველო ნაკეთობათა პროექტირება III • შეფუთვა და შრიფტი • საბაკალავრო ნაშრომი
2.	სვეტლანა მხჩიანი	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • ციფრული მოდელირება I • ციფრული მოდელირება II • ციფრული მოდელირება III • ციფრული მოდელირება IV • ციფრული მოდელირება V • ციფრული მოდელირება VI • საბაკალავრო ნაშრომი
3.	გიორგი ტატიაშვილი	ასისტენტ პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • მაკეტირება-მოდელირება I • მაკეტირება-მოდელირება II • მაკეტირება-მოდელირება V • საბაკალავრო ნაშრომი
4.	თამაზ არუნაშვილი	ასისტენტ პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • სპეცგრაფიკა (სკეტჩინგი) I • სპეცგრაფიკა (სკეტჩინგი) II • მაკეტირება-მოდელირება III • მაკეტირება-მოდელირება IV • სამრეწველო დიზაინის ისტორია და ბრენდები • სტარტაპ ტექნოლოგიები • საბაკალავრო ნაშრომი

			<ul style="list-style-type: none"> • საწარმოო პრაქტიკა
5.	კახაბერ ბოჭორიშვილი	მოწვეული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • სამრეწველო ნაკეთობათა კომპოზიცია I • სამრეწველო ნაკეთობათა კომპოზიცია II • საწარმოო პრაქტიკა
6.	დათო ბაძაღვა	მოწვეული პედაგოგი	<ul style="list-style-type: none"> • სამრეწველო და მომსახურების ობიექტების ინტერიერი • სამრეწველო და მომსახურების ობიექტების ექსტერიერი
7.	მიხეილ წოწორია	მოწვეული პედაგოგი	<ul style="list-style-type: none"> • ბიომორფოლოგია
8.	შორენა გოგიაშვილი	მოწვეული პედაგოგი	<ul style="list-style-type: none"> • ერგონომიკა
9.	თეიმურაზ პულუხაშვილი	მოწვეული პედაგოგი	<ul style="list-style-type: none"> • ხაზვა • სამრეწველო პროდუქციის ინჟინერია I • სამრეწველო პროდუქციის ინჟინერია II • სამრეწველო მასალები და ტექნოლოგიები I • სამრეწველო მასალები და ტექნოლოგიები II • საწარმოო პრაქტიკა
10.	ქეთი ბიბილაშვილი	მოწვეული პედაგოგი	<ul style="list-style-type: none"> • სარეკლამო დიზაინი